

საგზიელი

საორთული გაზეთი

პარასკევი 16 ივნისი 2000 №113 (1135)

ფასი 50 თეთრი



თურქებმა და შვედებმა იტალიას პეოტსედფინალი გაუნადღეს



საგზიელი

თურქეთი
შვედეთი

თურქებმა და შვედებმა გუშინ
ევრო 2000-ის პირველი უკონტროლო
ფრე და ჯერჯერობით ყველაზე
უსახური მატჩი ითამაშეს.
ერთმანეთი თითო ქულას
დააჯერეს და თანაჯგუფელ
იტალიას პეოტსედფინალისკენ
გზა გაუხსნეს. წლევანდელი
თექვსმეტეულიდან „სკუადრა
აძურა“ პირველია, ვინც ეს
უფლება ვადამდე მოიპოვა.
თურქებს და შვედებს
ჯგუფიდან გასვლის შანსი
ერთობ შუემცირდათ, თუმც
თურქებმა თავიანთ სპორტულ
ისტორიას ერთი შტრიხი
შემატეს: დიდი საფეხბურთო
ტურნირების ფინალურ ეტაპზე
პირველი ქულა მიითვალეს.

იხილეთ მეორე-მეოთხე გვერდები



თურქეთი — შვედეთი. თურქთა მეკარე რუშთუ და შეტევისას უხერხულად დაცემული ფრედერიკ ლიუნგბერგი



ფინალი

ბასკო
აზოტი

2
1

ლოს ანჯელეს ლეიკერსი საქართველოს ჩემპიონატის ფინალს პერ მოიგებს

მიაჩნია მსაჯობით უკმაყოფილო
რუსთავის „აზოტის“
მფრთხელს ოთარ ხმელიძეს

გუშინ საქართველოს ჩემპიონატის ფინალის მესამე მატჩში
ბათუმის „ბასკომ“ დამატებით დროში 87:82 დაამარცხა
რუსთავის „აზოტი“. მატჩის ძირითადი დროის დასასრული
ერთობ დაძაბული, დრამატული და საკამათო გამოდგა. ასეა
თუ ისე, „ბასკოს“ ოქროს მედალს ერთი მოგებალა აშორებს.
ასევე ერთი მოგებალა სჭირდება „ლოს ანჯელეს
ლეიკერსს“, რათა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის
ჩემპიონი გახდეს. „ლეიკერსმა“, „ბასკოს“ დარად,
დამატებით დროში 120:118 დაამარცხა „ინდიანა პეისერზი“.

იხილეთ მეცამეტე, მეოთხმეტე და მეხუთმეტე გვერდები



ბასკო — აზოტი 87:82. აზოტელი ლევან წიკლაური მეტოქის ფარს უტრევს

ფოტო: გურამ დოღანაშვილი

უგოლო, უგულო, უსამსო

მატჩის შედეგები

საქართველო

ინფორმაცია
15 ივნისი
23.45 საათი
ფილიპინები
20 000 (ტელეფონი 30 800)

თურქეთი 0:0 უგადათი

თურქეთი: რუშო, ოგიუნი (თუგაი 59), ფათიბი, ალფი, არიფი, ოკანი, პაქან შუქური, სუათი, იზეტი (სერგენი 58), პაქან უნალი, უმიტი (ტაიფუნი 45)
მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი
უგადათი: ჰედმანი, ბიორკლუნდი, ლუკი, სუნდგრენი, მილდი, ლიუნგბერგი, ალექსანდერსონი (ა. ანდერსონი 63), მელბერგი, მიალი, კანდერსონი (პეტერსონი 46), ლარსონი (სვენსონი 78)
მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაბერბეკი
გაფრთხილება: სუათი, მიალი
მსაჯე: დიკ იოლი (პოლანდია)
კარიკენ დარტყმა: 8-2; კარში დარტყმა: 2-5; ჯარიმა: 16-15; კუთხური: 2-2; თავდაცვა: 5-2



88-ე წუთზე შედეგმა ერთობ სახიფათო ჯარიმის უფლება მიიღეს, მაგრამ იორგენ პეტერსონის დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელს ვერ გასცდა

აბათა კვანტალიანი

ესეც პირველი უგოლო მატჩი ევროპის მეთერთმეტე ჩემპიონატზე უგოლობას კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ ასეთი უგოლო, უგულო და უნიათო თამაში ჯერ არ ყოფილა ევროპის ამ ჩემპიონატში. ჩემი, თქვენი, სტადიონზე მისული ქომაგის და მილიონობით ტელემყურებლის ცოდვა დაიბოლო გუშინ ორივე გუნდმა. თქმა არ უნდა, შედეგს და თურქებს საფეხბურთო კლასს შეტყაობდა ვერ დაუწუნებ, ბოლოს და ბოლოს ორივე გუნდი ევროპის რჩეულ თექვსმეტეულში მოხვდა და წესით და რიგით მათ დაპირისპირებას სიმძაფრეც არ უნდა მოკლებოდა. გამარჯვების შემთხვევაში თურქებსაც და შედეგსაც ჯგუფიდან გაღწევის არცთუ ურიგო მანძი რჩებოდათ. მაგრამ საფეხბურთო ფორტუნამ სხვაგვარად იხება — ორივე გუნდს სიკვდილის ტოლფასი თითო ქულა აკმარა. ამით კი იტალიელები დარჩნენ მოგებულნი. მათ ოფიციალურად გაიფორმეს მეოთხედფინალში თამაში.

ემპროშეებული ჰენრიკ ლარსონი და კანტეგრედი კენეტ ანდერსონი ერთმანეთის ხელის შეშლის მეტს ვერაფერს აკეთებდნენ და თურქ მცველებში იკარგებოდნენ. თავის მხრივ თურქებმა მოშიშვლებული ფლანგებიდან ირჩიეს ხეირის ნახვა, სხვა გამოსავალი არც ჰქონდათ, რადგან შედეგითი ხუთკაციან ნახევარდაცვას პრაქტიკულად მთლიანად დაკავებული ჰქონდა მოედნის ცენტრალური ნაწილი, ფლანგებზე კი თურქებს ბერიც არაფერი გამოსვლიათ, რადგან ამგვარი ტაქტიკით თამაშისთვის ამ კონკრეტულ სიტუაციაში სრულიად მოუშადადებელი აღმოჩნდნენ. ერთიანი გუნდი მუსტაფა დენიზლის ყველაზე აქტიური განაპირა ნახევარმცველი სერგენი სათადარიგოთა სკამზე დაესვა, მის მაგივრად მოთამაშე მახი იზეტი კი, მეტი რომ არ ვთქვათ, რიტმიდან იყო ამოვარდნილი. თუმცა შედეგებისგან განსხვავებით თურქებს თავის დამშვიდება მაინც შეუძლიათ. ჯერ ერთი, მეოთხედფინალში გასვლის შანსი არ დაუკარგავთ, მეორეც, მატჩიდან მატჩამდე აგებენ საკუთარ საფეხბურთო ისტორიას. წინა მატჩში იტალიელებთან ოქტომ პირველი გოლი გაიტანა თურქეთის სახელით ევროპის ჩემპიონატებზე, გუშინდელ შეხვედრაში კი სულაც პირველი ქულა მოიპოვეს კონტინენტის უპირველეს ტურნირზე.

მოულოდნელი იყო ლიუნგბერგის სუსტი თამაშიც. ევროპის ჩემპიონატის წინ მის ნიჭსა და მარიფათზე ბევრს ლაპარაკობდნენ შვედი მწვრთნელები და იმედსაც ამყარებდნენ ამ დიდ ფეხბურთელზე. მაგრამ ლიუნგბერგმა აშკარად ჩააგდო გუშინდელი მატჩი, აკი თანაგუნდელების მიერ შექმნილი მეტოქის კარის ალბის პრაქტიკულად ერთადერთი რეალური შანსი ქარს გაატანა პირველი ტაიმის მიწურულს, ერთიერთზე რომ შეხვდა რუშოს. მსგავს სიტუაციაში მისი დონის ფეხბურთელს უკეთ გარჯა მართება.

ნულოვანი ფრთხილ შედეგები პრაქტიკულად უმძიმეს მდგომარეობაში მოხვდნენ, საეჭვოა, სექსუალურად ნაშიშღილვება ფეხბურთელებმა იტალიის ნაკრებს სძლიონ. სიტყვამ მოიტანა და, იქნებ შედეგის უსუსურობის მიზეზი მათი მწვრთნელების ამასწინანდელი გადაწყვეტილებაც იყო: არავითარი სექსი, ბრძანეს ჩემპიონატის წინ მწვრთნელებმა და ა, ბატონო, შედეგიც — ჯგუფის ბოლო მატჩს შედეგები უსეკსოდ, თითქმის უშანსოდ, კინკლა გოლის და ქულის ამარა ხვდებიან.

რატომ იყო უსახური მატჩი? ბუნებრივია, ამას თავის მიზეზები აქვს. თავი და თავი მაინც შედეგითი ნაკრების მწვრთნელთა ტანდემის შეცდომაა. მათი ტაქტიკური მონახაზი ფუჭი და არაფრისმოძვენი გამოდგა ლურჯ-ყვითლებისთვის. იმის მაგივრად, ტანდალ შედეგს ფიზიკური უპირატესობა გამოეყენებინათ და ფლანგური შეტევები საჯარიმოში მალა ჩაწოდებდნენ დაეხსრულებინათ (აქამდე ტრადიციულად ასეც თამაშობდნენ), მიზნის მიღწევა მოედნის შუა ნაწილიდან ირჩიეს, იქ კი ტრა-



შვედების არსენალელი ფრედერიკ ლიუნგბერგისა (მარცხნივ) და თურქების ლესტერელი მახი იზეტის წინადა წყლის ინგლისური დუელი

მატჩის სტატისტიკა

- 3 — კენეტ ანდერსონმა 20 მეტრიდან საჯარიმო ძლიერად დაარტყა, რუშოთმ ძლივს მოიგერიო.
- 7 — მარცხენა ფრთიდან თურქების შეტევას უმითვის ძლიერი, მაგრამ უზუსტო დარტყმა მოჰყვა.
- 11 — შედეგმა თავის საჯარიმოში არიფს თვალი ვერ მიაღწევს, მაგრამ მისი ნახევარმარტელა დარტყმა ჰედმანის კარის ცხრიანს ოდნავ აცდა.
- 29 — ლარსონმა ეფექტური პასით კენეტ ანდერსონი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ თავდამსხმელს რუშოთმ დაასწრო და თავისიანები ხიფათს გადაარჩინა.
- 42 — შედეგის საუკეთესო მომენტი: მილდმა ლიუნგბერგი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ რუშოთმ შედს ფეხებში ჩაუვარდა და მოიგერიო.
- 71 — სერგენის 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმა ჰედმანმა მოიგერიო, ბურთი ოკანს მიუვიდა, მაგრამ ააცვიდა.
- 86 — ოკანი მარცხნიდან შედეგის საჯარიმოში შეიჭრა, კარის განწვივ სახიფათოდ ჩაანოდა, მაგრამ თურქთაგან იქ არავინ იყო.
- 88 — შედეგით ერთობ სახიფათო ჯარიმის უფლებას იღებენ, მაგრამ პეტერსონის დარტყმა ცოცხალ კედელს ხვდება.

იტალია	2	2	0	0	4:1	6
ბელგია	2	1	0	1	2:3	3
თურქეთი	2	0	1	1	1:2	1
შვედეთი	1	0	1	1	1:2	1

მესამე ტურის 1906. თურქეთი — ბელგია; იტალია — შვედეთი

ჰკა მამბათ!

თურქეთი და შვედთა ბრძოლა ეროვნული ნაკრებების მატჩამდე დაიწყო — ეინდოვენის მთავარ მოედანზე გულშემატკივრებმა ივაჟაკეს. სკანდინავიელები კარგა ხნის შეკრებილები იყვნენ, როდესაც ერთ-ერთ კუთხეში თურქები გამოჩნდნენ დაფაფების ცემითა და ღრიალით, მერე მათ ეროვნული ღრით იქვე მდგარი ქანდაკების შემოკობაც მოინდომეს. შედეგმა ისტორიული ძეგლის შეურაცხყოფა ვერ იგუეს და მალე ლუდის ბოთლებისა და კათხების ორმხრივი სროლა ატყდა. ნავარჯიშევი ბელგიელი პოლიციელები სწრაფად გაჩნდნენ მოვლენათა ეპიცენტრში, მებრძოლთა შემართება ხელკეტებით ჩაახშეს და რამდენიმე განსაკუთრებით მონღომებული ქომაგი ვირის აპანოში მიაბრძანეს. ამ ოპერაციისას მხოლოდ ერთი ოფიცერი დაშავდა და ისიც მსუბუქად. მოვლენებით ხმები დაირხა, სინამდვილეში თურქებს შედეგად გადაცემული ინგლისელებმა შეუტიეს, თუმცა პოლიციის წარმომადგენელმა ეს ვერსია უარყო: „ეს მართალი არ არის. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ აქ ინგლისელების ხელი ურევია. ვერ ვიტყვით, შედეგმა წამოიწვეს აურზაური თუ თურქებმა, ამას მხოლოდ გამოძიება დაადგენს მთელი ეს არეულობა სულ 10 წუთი გრძელდებოდა და უკვე ყველაფერი მიწყნარდა“.

ჩხეტი — საფრანგეთი

ბერბერი, ლატალი, ნადვარი... ვინა დარჩა?!




გუშინ იოყეფ ხოვანეცმა აგტოგრაფებისთვისაც მოიცალა

ბა ლატალს, მას რადეკ ბებილი შეცვლის. ჩხეხა გუნდში პირველ მატჩთან შედარებით სხვა ცვლილებები არ არის. თუ ჩხეხეთის ნაკრებში ახალი მშობლივად ბებილია (მასაც ახალი მოთამაშე პირობითად ეწოდება, რადგან პირველ მატჩში შეცვლაზე შევიდა), ფრანგები იმავე შემადგენლობით აპირებენ თამაშს. გასაკვირი არცაა, მათმა დანიელებთან თამაშმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ბევრი თვლის, რომ როვე ლემერის გუნდს ჩემპიონობის მოპოვების ყველაზე დიდი შანსი აქვს. ამასვე ადასტურებს იოყეფ ხოვანეციც, ვისაც უთქვამს, ფრანგებს საუკეთესო გუნდი ჰყავთ ჩამოყვანილიო.

დანი — პოლანდია

ფრთხილი რაიკარდი



მარკ ოვერმარსი დანიასთან მატჩს, ალბათ, სასტარტოში დაიწყებს

გაკეთება. და საერთოდ, ფუჭი მკითხაობა რომ არ გამოვევიდეს, იაპ სტამის მოედანზე ყოფნა-არყოფნის საკითხი ასე ჩამოგაყალიბოთ: ფრანგთაგან იაპ სტამი საუარაუდო სასტარტო შემადგენლობაშია, თუმც მისი თამაში საეჭვოა. ახლა კი სხვებზე ვთქვათ. ჩხეხეთთან სუსტად თამაშმა ჯოვანი ვან ბრონკპორსტი და კლარენს ზეედორფი სასტარტო შემადგენლობიდან ამოკლდა. მწვრთნელი მათ ნაცვლად იმედს რონალდ დე ბურზე და მარკ

ვედრა პრინციპულია და გამოაკლისი, ცხადია, არც ჩხეხეთი — საფრანგეთი იქნება. შეიძლება ითქვას, რომ ამ მატჩს ორმაგი დატვირთვა ექნება. გეხსომებათ, ევროპის წინა ჩემპიონატზე ეს გუნდები ნახევარფინალში გადაყარნენ ერთმანეთს და ჩხეხემა პენალტების სერიით მოიგეს. საბედისწერო თერთმეტმეტრიანი მარსელებმა პედროსმა ვერ გაიტანა. დღეს კი საფრანგეთის ნაკრებში აღარც პედროსია და მათ ამბიციებიც ერთიორად გაზრდილი. ისე, თუ სტატისტიკას გადავავლებთ თვალს, იქნებ საოცარიც იყოს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში ჩხეხეტი ფრანგებს მცირედით ჯობნან კიდევ (ითვლება როგორც ჩხეხეთის, ასევე ჩხეხოსლოვაკიის ნაკრების თამაშები).

ბიორბი დარჯანია

სამარაულო შიამაფინლოვაი ჩხეხეთი: პაველ სრნიჩი; ტომას რევიკა, კარელ რადა, პეტრ გაბრიელი; რადმი ბიბილი, პაველ ნედვედი, ირი ნემცი, კარელ პობორსკი, ტომას როსიცი; იან კოლერი, ვლადიმერ შმიცერი

Table with 2 columns: ჩხეხეთი, საფრანგეთი. Rows for goals, assists, and total points.

დანი — პოლანდია

ფრთხილი რაიკარდი

ასეთი განცხადების მიუხედავად, პოლანდიელთა შეტევები ალბათ მეტ სიმაძვრეს შეიძენს. თუნდაც იმიტომ, რომ მოედანზე, წინანდლისიგან განსხვავებით, ერთით მეტი თავდამსხმელი იქნება. იერიშების გამაძვრება კი თამაშის სანახაობით მზარესაც უნდა დაეცოს.

Table with 2 columns: დანი, პოლანდია. Rows for goals, assists, and total points.

პოსტ-შეხვედრა, კამპროტას უნაყოფი

იტალიის ნაკრებს ბელგიელთან მატჩში, რომელიც მან 2:0 მოიგო, ჯანლუკა კამპროტა დაუშვავდა და იმის საშიშროებაც არსებობდა (რა თქმა უნდა, აპენინელთათვის) რომ ფეხბურთელს მომავალი შეხვედრა შეეღებთან გამოეტოვებინა, მაგრამ ნაკრების ექიმმა დილო დოფი დაამშვიდა, უბრალოდ, კუნთი გაეჭიმა, ტრავმა სერიოზული არ არისო.

ბოშკოვის საფიქრალი

ბოშკოვის საფიქრალი ნაკრების ორი ფეხბურთელი — ნახევარცვლელ ვლადიმერ იუგოვიჩისა და თავდამსხმელ დარკო კოვაცევიჩის საკვირაო თამაშში ნორვეგიელებთან საეჭვოა. უკრაინის ბოშკოვი, ბალკანელთა მწვერთელი: „სამშაბათის ვარჯიში ორივემ ტრავმების გამო გამოტოვა. სლოვენელებთან მატჩისგან განსხვავებით, ძირითადად ოთხი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდებოდა, რომელთა ინაობასაც დღევანდელი ვარჯიშის შემდეგ დავადგენ. რაც შეეხება იუგოვიჩსა და კოვაცევიჩს, თუ ექიმი სრულ გარანტიას არ მომიცემს, რომ ისინი ჯანმრთელები არიან, კვირას ნორვეგიელებთან ვერ ვთამაშებ“.

ალფონსო-მიხეილა

მსპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა ალფონსო პერესმა ქომაგებს შეაჯაროა მოულოა, ბელგია-პოლანდიაში რაც შეიძლება მეტნი ჩავიდნენ და ნაკრებს მსურავლედ დაუჭირონ მხარი.

იტაიაშებს, არ იტაიაშებს?..

ნორვეგიელი მცველი ჰინრიგ ბერგი ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ალბათ, „მანჩესტერ იუნაიტედლიან“ „სენტ ეტიენში“ გადავა, თუმცა ფეხბურთელი ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს ამბობს. ბერგს ამჟამად მცირე ტრავმა აწუხებს, ესპანელებთან შეხვედრაში მან მუხლი დაიზიანა. „ტრავმა გამიმჩვიდა — თქვა ბერგმა — შესაძლოა დარჩენილი მატჩები გამოეტოვოს, ესპანელებთან შეხვედრის პირველ ტაიმში ტკივილი ვერ ვგრძობ, მაგრამ მეორე ნახევარში ფეხი ამტკივდა. გავრისკე, რომ ვითამაშებ“. ნორვეგიის ნაკრების ექიმმა განაცხადა: „ეჭვიც არ მუარება, რომ ბერგი მალე გამოჯანმრთელდება. საშიში რომ იყოს, მინდორზე ვასვლის უფლებას არ მივეცემ“. ექიმისა და ფეხბურთელის განცხადება ჯერჯერობით ურთიერთგამომრიცხავია, ამიტომ დანამდვილებით იმის თქმა, შეძლებს თუ არა ბერგი ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში თამაშს, რთულია.

იყო ტაძარი, გახდა ბაზარი

ნაპოლეონი: გამოსავალი კაპიტულაციაზე გაყიდული ქართული ფეხბურთისთვის



თბილისის „დინამოს“ გადარჩენა-შენარჩუნების მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისია გუშინდელი სხდომისას

წინ რომან შოთაძე მეუბნებოდა, ტრანსფერიდან შემოსული ფულით გაიყიდებოდა „TBC ბანკის“ ვალს და სათანადო დოკუმენტაციას წარმოადგენო, მაგრამ ეს ვალი დღესაც გადაუხდელობა.

„დინამო“ 1996 წლიდან იურიდიულად არ არსებობს, რადგან ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია. რატომღაც ყველამ წაუყრუა სახელმწიფო მრჩეველის, დანიშნული იყო მისი დასმული კითხვები — თუ ეს კლუბი არ არსებობს, ქვეყნის პირველობაზე და თავის გათამაშებაში როგორღა მონაწილეობდაო. ამ კითხვებზე პასუხი არავის აღმოაჩნდა, მეტიც, კომისიისთვის დღესაც გაუგებარია „დინამოს“ სტატუსი. იუსტიციის სამინისტროს კვლევას ძირეული შედეგი არ მოჰყოლია.

ამ უწყების წარმომადგენელმა თედო ისაკაძის შეკითხვას სახელდახელოდ კი უპასუხა, იურიდიულად „დინამო“ არ არსებობს, მაგრამ სამინისტრო ოფიციალური დასკვნის გაკეთებას ერიდება. სამაგიეროდ, მეტად საინტერესო დოკუმენტი აღმოაჩნდა ქა-

ლაქის მერიის წარმომადგენელს. მის ინფორმაციაში მართლაც ბევრი რამ არის ნიშნდობლივი: „დინამოს“ დამფუძნებელთა წილი შემდეგნაირად ნაწილდება. შპს „ბერძენი“ (პრეზიდენტი მერაბ რატიანი) სააქციო პაკეტის 80 პროცენტის მფლობელია, 10-10 პროცენტს კი სპორტკლუბი „დინამო“ და მერაბ ჟორდანიანი ინაწილებენ. როგორც ირკვევა, სპორტკლუბი „დინამოს“ საწესდებო თანხა 1 695 800 მანეთი ჰქონდა გაფორმებული. ამ თანხიდან 1 598 000 მანეთად დიდმა ბაზა შეუფასებია, 97 800-ად კი „ნორჩი დინამოსის“ საფეხბურთო სკოლა. მერაბ რატიანის წილი 3 220 000 მანეთი ყოფილა და „ბერძენის“ ამ თანხის სანაცლოდ გაზ-31 მარკის ავტომობილი შეუტანია წილში. მერაბ ჟორდანიანს 10 პროცენტი კი 1 000 000 მანეთის მოიცავს, თუმცა მერიის მოხელეთა კვლევას შედეგი არ მოჰყოლია. ამ თანხის საერთო წილში შესული დამადასტურებელი საბუთი არ აღმოჩნდა. სატარიანი რომ არ იყოს, სასაცილო ის არის, რომ თურმე გაზ-31 მარკის ავტომობილი („მე-

რსედესი“ რომ იყოს) დიდმა ბაზაზე ძვირად ფასობს.

საკვირველია, მაგრამ გუშინდელ სხდომას ისეთი მიმართულება მიეცა, თითქოს „დინამოს“ კრიზისიდან გამოსვლის მთავარი პირობა ამ კლუბის რეგისტრაციაში გატარება ყოფილიყო. საკვირველია ისიც, რომ სხდომის მონაწილეთაგან ბევრმა აღნიშნა, კატასტროფა გარდაუვალია, ავგისტოში ეროვნული ჩემპიონატი იწყება, „დინამო“ კი იურიდიულად ჯერაც არ არსებობს. იურიდიულად ჯერაც არ არსებობს. რატომ დადგა ასე მწვავედ „დინამოს“ რეგისტრაციაში გატარების საკითხი.

ჯერ კიდევ ეროვნულად წოდებულ სტადიონზე ვთქვათ. სხდომის დასაწყისში თედო ისაკაძემ კომისიის წევრებს კი მოუწოდა, ემოციისგან თავი შეიკავებინათ, მაგრამ სხდომის ბოლოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეს, ზურაბ დვალს ნერვებმა



კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ დვალი (მარცხნივ)

რატომღაც მთავრობას ასწრობ: მწვერთველი სურსცილაჟა!

„დინამოს“ ბოლოდროინდელმა დევიზმა — კლუბში ყველაფერი ყველასათვის გამჭვირვალედ უნდა ხდებოდესო, როგორც ჩანს, ფუნქცია დაკარგა. სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ გუშინდელ სხდომაზე კომისიის წევრებს დაჟინებით რომ არ მოეთხოვათ, დღესაც არ იქნებოდა ცნობილი ის ფაქტი, რომ „დინამოს“ თავიდან ოფიციალურად დაინიშნა მურთაზ ზურცილაჯა, მეორე მწვერთველად კი — სერგო კუტივაძე ამ ტანდემის „დინამოში“ მისვლის შესახებ „სარბიელმა“ ამას წინათ გამცნობით, მაგრამ მაშინ ოფიციალურად არაფერი იყო გადაწყვეტილი, მწვერთველებს არაფერს ამბობდნენ და „დინამოს“ ხელმძღვანელობაც რამდენიმე დღეში გვიპირდებოდა საბოლოო პასუხს.

როცა სახელმწიფო მრჩეველმა დაზმირ ჯოჯუამ პირდაპირ დასვა კითხვა — ვინ უხელმძღვანელებს „დინამოსს“, მერაბ რატიანმა სცადა, პასუხისთვის თავი აერიდებინა — ჟურნალისტები ვეცნურებთან, არ მინდა, კარტები გავხსნაო. უცნაურია, არა? რამდენიმე დღეში გუნდი ევროტურნირში უნდა ჩაებას, მისი პრეზიდენტი კი მიღებული გადაწყვეტილების გასაიდუმლოებას ცდილობს. საბედნიეროდ, დაზმირ ჯოჯუას სახელმწიფო კომისიის წევრებმაც აუბეს მხარი და რატიანსაც, სხვა რაღა დარჩენოდა, ოფიციალურად განაცხადა, რომ „დინამოს“ ხურცილაჯა ჩაიბარებს.

თავად მწვერთველის თქმით კი, რო-

უმტყუნა, ჟურნალისტებს უხელმძღვანელებდა და თავისი პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირება ითხოვა — რეალურად არსებობს იმის საშიშროება, რომ სტადიონი დაეკარგოთ. მეტიც, ჩათვალეთ, რომ სტადიონი არ არსებობს. იგი გადაქცეულია ერთ დიდ ბაზრად. ეს ობიექტი ფაქტობრივად გასხვისებულია. დაუყოვნებლივ უნდა დადგინდეს სტადიონზე განთავსებული ობიექტების მეპატრონეთა სტატუსი. ამ პოზიციის კონტროლის პალატა იღებს თავის თავზე და ერთი კვირის ვადას ვითხოვ. დროა, რაიმე ვიკონოთ, თორემ ეროვნული სიამაყე „ელიავას ბაზრობის“ ფილიალად გვექცევა — განაცხადა დვალმა.

გოგი დემეტრაძის აქტიურობას მოჰყვა ის, რომ სახელმწიფო კომისიამ დადგინდება მიიღო, დავალოს ქალაქის მერიას, სტადიონის მიმდებარე ტერიტორია გაწმინდოს მალაზია-ჯიზურებისგან. დემეტრაძე დანარჩენებს მოუწოდებდა, ამ დადგენილებით პირადად პრეზიდენტს მიემართოთ, მაგრამ სახელმწიფო მოხელეებმა ეს მოსაზრება მყისვე უარყვეს, რა საჭიროა, დაბალი ინსტანციიდან დავიწყეთ და ისე მივიდეთ პრეზიდენტად. ამ დადგენილების განხორციელება რომ ფრთხილად შეგვიძლია, იქიდანაც ჩანს, რომ თვითონ კომისიის წევრებიც არ არიან ერთსულოვანი. ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარის მიხედვით ჯოჯუას თქმით, ის ჯიზურები დღეს შეჭირვებული, წარსულში ცნობილი ფეხბურთელების კუთვნილებაა, ქალაქის მერიამ მათი თხოვნა გაითვალისწინა და არსებობისთვის მათ სტადიონზე მისცა თავშესაფარი. ბატონმა მიხეილმა ისიც დაამატა, დანაშაული იქნება, ამ ხალხს ლუკმაპური რომ მოაკლდესო. ვეტერან ფეხბურთელთა ლეაწლი და ამაგი სწორედაც რომ დასაფასებელია, მაგრამ ერთი რამ არის საკითხავი, ვეტერანებმა მინც-დამინც სტადიონის ტერიტორია რატომ შეარჩიეს სავაჭროდ? უცნაურია მერიის გადაწყვეტილებაც. ვეტერან ქალაქის ხელმძღვანელებს ვეტერანთა თხოვნის დასაკმაყოფილებლად ნებისმიერ ბაზრობაზე (თუნდაც „ელიავას“) გასჭირვებულთა მათთვის სავაჭრო ადგილების გამოყოფა. ნათლად ჩანს, სტადიონთან დაკავშირებით ბევრის და დიდი ფინანსური ინტერესებია გადაზღაურებული და ამ პრობლემის მოგვარება ერთობ გაჭირდება. გუშინდელი სხდომა კი ექსტრავაგანტულმა გოგი დემეტრაძემ დააკვირგინა — ნაპოლეონი სჭირდება ქართულ ფეხბურთსო. თუმცა ეს სიტყვები „ქართულის“ პრეზიდენტმა ისე უსასოოდ წარმოთქვა, ემწინოდა, ქართული ფეხბურთის ჩინიდან გამოსვლის და მისი სათავეში მდგომი ნაპოლეონის ხილვის დიდად თვითონაც არ სჯეროდა. სახელმწიფო კომისიის გუშინდელი სხდომის მუშაობის დემეტრაძისეულმა შეფასებამ კი სულ ორიოდე სიტყვა დაიტია — არაფერი გამოვა.

„დინამოს“ და სტადიონის ჭირისუფალი ერთი კვირის თავზე ისევ შეიკრიბებინა სახელმწიფო კანცელარიაში და ზურაბ დვალისა და კონტროლის პალატის მუშაობის შედეგებს გაეცნობინა.

ბატა ძვალაძე

სასტუმროს და საშინაოს

ეროვნული ჩემპიონატის ოქრო-ვერცხლი, საქართველოს თასი, დებიუტი უეფა-ზე (სულ მალე ჩემპიონთა ლიგაშიც)... და ყველაფერი ეს რაღაც წელიწად-წელიწადნახევარში. შთაბეჭდილება, აბა, რა!

ქართული ფეხბურთის ეროვნულ ტაღლაზე გადართვის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს“ უფრო უჭირდა, ვიდრე ულხინდა. საამაყო ტრადიციების გუნდი ორად-ორჯერ შეწვდა ჩემპიონატის ბრინჯაოს და სულ ეს იყო. ვიდრე... ვიდრე „ტორპედოს“ სამდვიოლი მეპატრონე გამოუჩნდებოდა ახლა ყველასთვის ცნობილია, ქუთაისური კლუბის აღმასვლა მაშინ დაიწყო, როცა მისი დაფინანსება ფირმა „არგომარ ოილმა“ (პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე) ივალდებულა და ბევრიც მოასწრო მოკლე დროში. „ტორპედოს“ შედეგებზე ვთქვით.


ახლა სტადიონი განახლებულ-გაღამაზე უფრო ყოფილი „ცენტრალური“ ევროპის სტანდარტებსა მიახლოებული და ქართულ სინამდვილეში ერთ-

ერთი საუკეთესოთაგანია და განა მართო სტადიონი.

კლუბის მესვეურები გვაპირდებიან, რომ მუხრანის ტყე-პარკში მდებარე „ტორპედოს“ საწვრთნელი ბაზაც საუკეთესო იქნება ქვეყანაში, ყოველმხრივ დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოს ახალი ჩემპიონი ახლა ისვენებს. გუნდი სამკვირიან შევსებულაშია. ასეთ დროს, როგორც წესი, დაცარიელებული და ჩუმი „ტორპედოს“ საწვრთნელი ბაზა, ოღონდ ახლა არა...

— ტრებაზი არ მჩვევია, მაგრამ მართლა ბევრი რამ გაკეთდა ამ ერთ წელიწადში კლუბის საკეთილდღეოდ. ვინც ამას ვერ დაინახავს და სათანადოდ არ შააფასებს, ბრმა უნდა იყოს. მართლა დიდ საქმეს მოვიკიდეთ ხელი და ბოლომდე უნდა მივიყვანოთ —



შელან ნანიასვილი

რეკონსტრუქციას ახალი სეზონის დაწყებამდე მოვრჩეთ. დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ უნდა შევძლოთ. მშენებლის ხელი ყველაფერს შეეხება. მთავარი, გაიზრდება საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა — 22 იყო და 41 იქნება. და არა მარტო გაიზრდება, ისე კეთილმოვაწყობთ ოთახებს, რომ უმაღლესი სასტუმროების ნომრებს არ ჩამოუვარდეთ ავეჯი და სხვადასხვა ინვენტარი თურქეთიდან ჩამოგვაქვს. მთლიანად გამოიცვლება სანტექნიკური მოწყობილობა, გაფართოვდება და გაანაზღვრება საუნა. კაპიტალურად შეკეთდება კვების ბლოკი, გარეთ საგარეოში მინდორსაც მივხედავთ.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ბაზაზე ერთდროულად მშენებლობაც და წვრთნაც როგორ მოხერხდება? თუ „ტორპედო“ სხვაგან მოემზადება საახალწლონო?

— გუნდის შეკრებივს თარიღი, ყვერ არ დადგენილა. „ტორპედო“ კლუბი, სადაც 20-25 გუნდიდან შეუდგება ვარჯიშებს. ბუნებრივია, საკუთარ ბაზაზე გუნდს ამის პირობები არ ექნება. რამდენადაც ვიცი, დავით ყიფიანი ვერ თბილისში გვემავს ათდღიან შეკრებას, მერე კი გუნდი უცხოეთში გაავრძელებს მზადებას.

— იქედან ჩამოსული, ალბათ, საკუთარ ბაზას ვეღარ იცნობს?

— ალბათ ასე იქნება.

— ამბობენ, გაახლებულ ბაზას კლუბი საჭიროების შემთხვევაში სასტუმროდ გამოიყენებს?

— ამას არ გამოვიცხავთ. ორ თვეში „ტორპედოს“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თამაში. იცით, ქალაქში სტუმარი გუნდის მისაღებად სათანადო სასტუმრო არ არის. თუ ღმერთმა ქა და ჩამოსული გუნდი ბაზაზე გაჩერებას დაგვთანხმდა, ბევრი პრობლემა მოიხსნება.

იუსა კაციტაძე ქუთაისიდან



„ტორპედოს“ საწვრთნელი ბაზის შესაკეთებლად აჩქარებული ტემპით შრომობენ



თბილისური შეკრებიდან დაბრუნებულ ტორპედოელებს საწვრთნელი ბაზის ცნობა გაუჭირდება

საზაფხულო მიდი-მოდი

	ბასსვისებულები	ახალწვეულები	საზონტობორისი
ტორპედო დავით ყიფიანი	იმედაძე, ბობოხიძე (დინამო)	ვ. გვიგაძე (იბერია)	9 ივნისიდან შევებულაში 20-25 ივნისს 10 დღით თბილისში შეიკრიბება
ვიტ ჯორჯია სერგო კოტორიაძე		სულთანოვილი (დილა), ჭილაძე (სა. იბერია)	19 ივნისს მცხეთაში შეიკრიბება
დინამო ჯემალ ჩიბრაძე	დიდავა, ნიჭიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან), ხიზანიშვილი (?)	იმედაძე, ბობოხიძე (ტორპედო), ვ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	მამქირი (ახვრბაიჯანი) 1:1 18 ივნისს ინტერტოტოს თასზე „სტანდარტს“ მასპინძლობს. 25 ივნისს კი სტუმრობს
ბათუმი ჯანი კარნევალი	მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა)		7 ივნისიდან შევებულაში
კოლხეთი ვია ტყეშელაშვილი	ლალიანი, ტრაპაიძე (ტაგურა, უკრაინა)		20 ივნისს ფოთში შეიკრიბება
სიონი სპარტაკ არჩვაძე	კ. გოგოლაძე (დინამო), ვ. მაისურაძე, ბ. მენგელია (?)		26 ივნისს ბოლნისში შეიკრიბება
იბერია სოსო ფრუიძე	ვ. გვიგაძე (ტორპედო), ფვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		
დილა მერაბ ხუციშვილი	სულთანოვილი (ვიტ ჯორჯია); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	20 ივნისს გორში შეიკრიბება
მერანი სერგო გაბელიაძე			1 ივნისიდან შევებულაში 25 ივნისს თბილისში შეიკრიბება
ლოკომოტივი რევაზ ძიუშაშვილი	ასლანაძე, ნიკურაძე (?), ისრაელი	ზურაბ აიანაძი (ხობი), ფვანია, ნაროუშვილი (იბერია)	17 ივნისიდან თბილისში შეიკრიბება
თსუ თენგიზ კაცია	ხარითიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ)		12 ივნისიდან შევებულაში 26 ან 27 ივნისს მცხეთაში შეიკრიბება
გორდა იასონ ალადაშვილი			1 ივნისიდან შევებულაში

შენიშვნა: ტრანსფერტა უპრავლასობა საბოლოო არ არის

ზღვისპირული ძილისპირული

გუშინდელ „სარბიელში“ გამოქვეყნებული ვარაუდი გამართლდა. ეს ვარაუდი კი არა, უფრო ჭეშმარიტება იყო. როცა ფინიშმაძე 65 საზღვაო მილი დარჩენილი და მდევარი საკმარისი მანძილით გაყავს მოტოვებული, ქვეყანა უნდა დაიქცეს, პირველობა ვინმეს დაუთმო. ასე რომ, თუ გუშინ ფრანგი ფრანსის ჟუონი „იერეფ უან ნიუენ სტარის“ ტრანსატლანტიკური რეგატის თითქმის მომგებად გამოვაცხადეთ, დღეს იგივეს ოფიციალურად ვამბობთ. მთავარი სხვა რამეა: 44 წლის ჟუონმა, ვისაც დღემდე არც ერთი რეგატა არ მოუგო (მეორე და მესამე ადგილები იტოვებდა, ბევრჯერ აუღია), ამჯერად გამარჯვებას რეგატის რეკორდიც მიაცილა და, რაც მთავარია, პირველი კაცი გახდა, პლიმუთიდან ნიუპორტამდე გზის იახტით გალევას 10 დღეზე ნაკლები რომ მოახდინა. როცა ჟუონის „ეურემ“ ტრინიტიდან პირველმა გადალახა როდ-აილენდის ციკუნა მტარის საპორტო ქალაქ ნიუპორტის შესასვლელთან მდებარე ლამაზად მოწყობილი ფინიშის ხაზი, ჟურნალისტები, ფოტოგრაფები და უსაქმურები მი-

სი იახტისკენ გაქანდნენ. ფრანგი მასმედიასთან ურთიერთობაზე უარს არ იყო და პირველ რიგში თავისი უახლესი გეგმები ამცნო საზოგადოებას. „მე ახლავ დავიძინებ — თქვა ჟუონმა. გაჭირვებით ლაპარაკობდა — ბოლო სამი დღის მანძილზე ორი საათი ვიძინებ და ფიტულოვით გავხდი, ვერაფერს ვაცნობიერებ.“

ხანმოკლე ხეწნის შემდეგ ფრანგმა ძილი რამდენიმე წუთით გადალო და თავის წარმატებაზე ისაუბრა. ჩემი იახტა სხვებზე ახალია და ამან ერთობ შემოწო ხელი, თქვა ჟუონმა, თუმცა საბოლოო გამარჯვებაში მხოლოდ მაშინ დაერწმუნდი, როცა ფინიში გამოჩნდა, უკან კი პორიზონტზე კაცი შევიდა, იოლი ცხოვრება არ მქონია — განაგრძო ფრანგმა — ერთხელ მთავარი აფრა 40 სანტიმეტრზე გაირღვა და გენაკრძაც (წინა აფრა) დამალა, მერე ავტობილოტმა მიმტყუნა და ელექტროობასაც დიდი გაჭირვება დაადგა. კიდევ კარია ასეთ შემთხვევებს მომზადებული შევხვდი. ორი-სამი ფრაზაც და ჟუონი დასაძინებლად გაქანდა. მისი

ძილი ტკბილი იქნება, სიზმრები კი გამარჯვების ნიშნით აღებუდები, 2800 საზღვაო მილის 9 დღე-ღამეში, 23 საათსა და 21 წუთში გავლა ამის საბაბს იძლევა. ჟუონის მიღწევა ფრანგი ფილიპ ჰუბონის 12-წლიან რეკორდს ათიოდ საათით აღემატება და ამდენად მკირე რეკორდსმენებელ კიდევ სამი კაცი უნდა მივიჩნიოთ. მარკ გილემოს 10 დღე 1 საათი და 59 წუთი დასჭირდა, ფრანკ კამასის სულ რაღაც 40 წუთით მეტი (გილემოს კუდში მისდევდა), მეოთხე კი ტიტულოვანი ალენ გოტიეს „ფონსია“ გახლდათ ათდღიან ზღვარს გადაცილებული 8 საათითა და 37 წუთით. ყველა ესენი ფრანგები არიან, ოღონდ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვებმა უხეიროდ იცურეს. უბრალოდ, პირველი კლასის შვიდი ტრინიტიანი მონაწილეობდა რეგატაში და შვიდივე ფრანგული. ბაყაყიკამებს, ეტყობა, სწორედ კორპუსთა სიმრავლე ხიბლავთ, თორემ, აბა, ახლა პირველი კლასის ცალკორპუსიანებს შევხედოთ. იქ ფრანგი არ პირველობს. ბრიტანელი ელენ მაკ არტურისა და ფრანგი როლან ჟურდენის პაექრობა სულ უფრო ემსავსება სასიყვარულო თამაშს. აი, გუშინდელ მამრი მდღერს ორ მილამდე დაეწია, დილას კი ისევ ქალი გაქანდა და სხვაობა 14 მილი გახდა. დანარჩენი კლასის იახტებზე ჯერაც მწირი ცნობები მოდის და მათზე უფრო მეტის თქმას ალბათ მხოლოდ ფინიშის შემდეგ შევძლებთ.

დავით გულუა

მრავალკორპუსიანი იახტები. საბოლოო შედეგები. 1. ფრანსის ჟუონი (საფრანგეთი, ტრინიტიანი „ეურემ“); 2. მარკ გილემო (საფრანგეთი, ტრინიტიანი „ბისკუიტს ლა ტრინიტიანი“); 3. ფრანკ კამასი (საფრანგეთი, ტრინიტიანი „კრუზამა“); 4. ალენ გოტიე (საფრანგეთი, ტრინიტიანი „ფონსია“).

ცალკორპუსიანი იახტები. 1. ელენ მაკარტური (დიდი ბრიტანეთი, „კინგფიშერი“) — 840 მილი ფინიშამდე; 2. როლან ჟურდენი (საფრანგეთი, „სილი“) — 854; 3. კატარინა შაბო (საფრანგეთი, „ვირლ პული“) — 910.



მაიკ ტაისონი: რა ძმა მომიყვას...


რკინის მაიკს ძმასაცი მოუკლავს

მაიკ ტაისონმა გლაზგოში წასვლა ორიოდ დღით გადალო საპატიო მიზეზის გამო — რამდენიმე დღის წინ მისი სიყრმის მეგობარი, დერილ ბაუმი მოკლეს. სიკვდილის წინა დღეს ბაუმი არიზონას შტატში იყო ჩასული, სადაც ტაისონის საწვრთნელი ბანაკია მოწყობილი. მამაკაცმა კარგა ხანს ერთად დაყვეს, ალბათ, სიყმაწვილისას მუშტის ერთად გაქნევა და სხვა სასაიმოვნო ამბები გაიხსენეს, შემდეგ ბაუმი ნიუ იორკში გაფრინდა და 24 საათიც არ გასულა, როცა ტაისონს სამწუხარო ამბავი გაავებინეს — ბაუმი მშობლიურ ბრუკლინში დაეცხრილა. ტაისონის პრესატამეს თქმით, მოკრივე შეძრწუნებული იყო და ადვილს ვერ პოულობდა. იმასაც ამბობდნენ, რინგზე გამსვლელი აღარ არისო, მაგრამ პროფესიონალიზმმა იძალა და იმავე პრესატაშემ, სულ პეტრიუსმა გუშინწინ ერთხელაც დაადასტურა, რომ 24 ივნისს ტაისონი გლაზგოს რინგზე ლუ სავარეუსთან იკრივეს, ოღონდ დანიშნუ-

ლების ადვილას ჩასვლის თარიღმა გადაიწია. ნაცვლად ოთხშაბათისა, ტაისონი ვეროპისკენ მომავალ უქმებზე გაფრინდება, მანამდე კი დალუპული მეგობრისადმი საკადრისი პატივის მიგებას აპირებს. „მიუხედავად მომხდარისა, მაიკის ფორმას არაფერი დასტყობია — აღნიშნა პეტრიუსმა — ტომი ბრუკსი და ჯეი ბრაიტი (მწვრთნელები) მისი მზადყოფნით კმაყოფილი არიან. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც მაიკი გლაზგოში ჩხუბისთვის მზადაა.“

ამასობაში ლუ სავარეუე უკვე ჩავიდა სკოტლანდია ქალაქში და მისი ბანაკი ტაისონის გაჭირვებასაც გამოეხმაურა. „ჩვენ ვათვითცნობიერებთ, რა დღეშიცაა ახლა ტაისონი — უთქვამს სავარეუს მწვერვალს, ბობ სპანიოლას — მაგრამ ვიმედოვნებთ, ბროლია მეორედ არ გადაიღებება“. ადრე ტაისონისა და სავარეუს ჩხუბი მიღანში იყო ჩაფიქრებული და ჩაიშალა. სპანიოლამ, ალბათ, ეს იგულისხმა.

დავით გულუა



ნიუპორტს პირველმა ფრანსის ჟუონმა უწია

ჰერლა Perla

კ ე რ ლ ა

ჰერლა Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა დ ა ზ ი ა

კოსტაპას 47

გაზრის შედეგი

ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს“

ბატონო ზურაბ, მეორე შეხვედრაში დამარცხდით ანგარიშით გამარჯვების შემდეგ დღეს „ბასკოს“ ძალიან გაუჭირდა. რით ახსნით თქვენს გუნდის ასეთ თამაშს?

— ცხელ გულზე ძნელია დასკვნების გაკეთება. ფაქტია, რომ მეორე შეხვედრაში 39 ქულით მოგებამ დათურით სამსახური გაგვიწვია და ბიჭების ზედმეტმა თვითდაჯერებამ შეხვედრა კინაღამ წაგვავებინა. ამ თამაშზე სერიოზული საუბარი მომიწევს გუნდიდან, მართალია, „აზოტს“ მიჰყავდა თამაში, მაგრამ ბოლოს ჩვენ უფრო ოპტიმალური შემადგენლობა შემოგვჩა და ამიტომაც გავიმარჯვეთ.

ოპტიმალური შემადგენლობა რომელ კალათბურთელებს გულისხმობდით?

— როდესაც მატჩის მსვლელობის დროს სპორტსმენი ძირითადად სკამზე ზის, ძნელია თამაშის რიტმში ჩართვა. ეს გამოვლიდა კალათბურთელებსაც კი უჭირთ. სათადარიგოებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო არხიპოვი და კვაჭაძე, რომლებმაც ბოლო წუთებში „ბასკოს“ სასარგებლოდ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა.

რუსთაველთა შრიდან ვის გამოარჩევდით?

— „აზოტის“ გამოკვეთილი ლიდერები ჰყავს გოგობერიშვილის, ფლენჩისა და ბაბიაშვილის სახით. გოგობერიშვილი ბოლოს დაიღალა, თორემ უფრო მეტი პრობლემები გვექნებოდა. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო არხიპოვის და კვაჭაძის კარგი თამაში. რომ არა ეს კალათბურთელები, „აზოტი“ გამარჯვებას ნამდვილად მოიპოვებდა.

ცოტა იბნობოდათ ხომ არ განაპირობა მატჩის ბედი?

— არც უმაჯისობა იყო, ოღონდ პირველ შეხვედრაში ბედმა „აზოტს“ გაუღიმა.

რუსთაველთა ბანაჟზე რომ არაფერი ვთქვათ, მსაჯობამ გულშემოტყვიერება და სპეციალისტებს შორისაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თქვენ რას გვეტყვით მსაჯობის შესახებ?

— მსაჯების მხრიდან შეცდომები ძალიან იყო და ორივე მხარეს შეიძლება ჰქონდეს პრეტენზიები. ბუნებრივია, მე არბიტრისგან ჩემი გუნდის მიმართ დაშვებულ შეცდომებზე ვამატივლებ ყურადღებას და ამიტომ ობიექტურ მსაჯულად ვერ გამოვდები. ყოველთვის მაგალითების დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან ისედაც დაძაბული სიტუაციის გამწვავებას ვერიღებ. იმის უთქმელობაც არ

შეიძლება, რომ ასეთ ატმოსფეროში მსაჯობა მეტად რთულია.

რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს გამარჯვება „ბასკოსთვის“?

— ბუნებრივია, რომ ამჯერად უპირატესობა ჩვენს მხარეზეა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „აზოტი“ მომავალ მატჩებს უბრძოლველად დათმობს. იგი გამოცდილი გუნდია და უკვე მესამე წელია, ზედმედ თამაშობს ფინალში.

ოთარ სემლიძე, „აზოტის“ მთავარი მწვრთნელი

ბატონო ოთარ, „აზოტმა“ თვითონ კარგად დაიწყო, მაგრამ...

— დღემდე მანებს ორმოცდაათ ორმოცდაათზე ვაფასებდი. ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ 99,9 პროცენტი მეტოქის მხარეს არის და ჩვენ მხოლოდ 0,1-ის იმედად ვართ. ჩემპიონის ბედი ფინალური სერიის დაწყებამდე გადაწყდა „ბასკოს“ სასარგებლოდ. ასეთი მსაჯობით „აზოტს“ ანუ ჯეფს ლეიკერსი“ რომ ჩამოვიდეს, იმასაც კი არ ვამარჯვებინებ. ეს მართო რუსთაველების კი არა, საერთოდ კალათბურთის და მაყურებლების აზრად აუღებია და მეტი არაფერი. დავით ბერეკაშვილი ბათუმელთა უმაღლეს ლიგაში გადმოსვლამდე თამაშობდა მათ რიგებში და როგორ უნდა მოსთხოვო ობიექტური მსაჯობა. მე-ცოდებიან ბიჭები, ბოლოს და ბოლოს რამდენჯერ უნდა დაგვეყან, საზღვარი აღარა აქვს? არ უნდათ ნორმალური კალათბურთი საქართველოში და ხმას კი არავინ იღებს. ბივესალბები, რომ ამ ბოლო დროს ბათუმში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა კალათბურთისთვის, მაგრამ რუსთაველებმა რა დაამყვეს, ჩვენ რატომ უნდა დავინაგროთ?

თქვენ ამბობთ, ჩვენგან დამოუკიდებლად, ფინალური სერიის დაწყებამდე გადაწყდაო მატჩის ბედი. დამადასტურებელი საბუთი თუ გაქვთ?

— ჩემს კაცობას ვცემ პატივს და არ მინდა, ვაზუთის ფურცლებიდან ვაგაგებინო ქვეყანას, რა ხდება ქართულ კალათბურთში.

მაშინ რა აზრი აქვს ფინალში მონაწილეობას?

— ტყუილად ნერვების წყვეტის მეტი არაფერი იმდენია სათქმელი, რომ უკვე ყელში მაქვს ამოსული, მაგრამ ვერ ვამბობ. რაც მთავარია, ხალხი ხელავს, მაგრამ ყველა ვერ გაგიგებს. იტყვიან, 39 ქულით აგებს შეხვედრას და რაღა ალაპარაკებოს...

გულგატეხილობა არ გჩვევიათ, ბატონო ოთარ?

— ვეცდები, თუ მოვახერხებ, კიდევ ერთხელ განვაწყობ გუნდი სათამაშოდ, მაგრამ როდემდე, რკინისა ხომ არა ვართ, დაგვაწყდა ნერვები.



საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის სტუ

სტუ მესამეა

საქართველო
მესამე
III მატჩი
სტუ

სტუ — სდასუ 3:0
ნამ აბაშაძე

15 ივნისი. სპორტის სასახლე
სტუ 87:72 სდასუ

1 ტაიმი 32:34
სტუ: თორთლაძე (10), ტულუში (11), ჩუბინიძე (10), ორმოცაძე (15), მინაშვილი (29), კორძაძე, დ. მოისინაფიშვილი (7), მდივანი (2), სულაძე, ოთიურიძე, ლო საბერიძე (2), მიქაძე (1)
სდასუ: ნ. ნოზაძე (2), ხოშტარია (19), უშილაური (7), გ. ნავალიშვილი (18), მიჭრაძე (15); გ. ჩხეიძე (5), სუნიშვილი (6)
მსაჯები: ზაზა მამალაძე, ზურაბ აბაშიძე (შეცვალა დავით ბერეკაშვილმა) ძმ. მინასანი: თენგიზ ქიქოძე

ნას აყენებდა. საკმარისი იყო „ჯეჯო“ მოედანზე გასულიყო და სტუ-ს შედეგანობამაც იკლო. მეთუთმეტე წუთზე ჩხეიძის ზუსტი სროლის შემდეგ სდასუ-ს მეტოქისგან ორი ქულადა ამოიღებდა — 23:25. როგორც კი სტუ-ს დამრიგებელმა ნუგზარ ჭიუციშვილმა მინაშვილი მოედნიდან გაიყვანა, ყოფილი ლიდერი მალე აღმოჩნდა მდევრის როლში. 25 ქულიდან მინაშვილის ანგარიშზე 18 ქულა მოიღო. ვახტანგე წუთის გასულიც არ იყო მოედნიდან, რომ ჩხეიძემ დიდებული პასით ლალი სუნიშვილი ზელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა, მანაც ბურთის კალათში მოთავსებით პირველად დაწინაურა თანაგუნდლები — 27:26. მეჩვიდმეტე წუთის ბოლოს ამჯერად ხოშტარია იყო ჩალა ზუსტად შესრულებული სამტულანით და სამ ქულამდე (31:28) განაზრდა თანაგუნდელთა უპირატესობა 34:32 — ასე დასრულდა პირველი ტაიმი სდასუ-ს სასარგებლოდ. კორექტული თამაშით გამოირჩეოდნენ ორივე გუნდის კალათბურთელები და განსაკუთრებით კი სტუ-ს წარმომადგენლები, რომელთა მისამართით მსაჯებმა პირველად მე-ცხრე წუთის ბოლოს ჩაუსტყინეს. რადგან სიტყვა მსაჯებზე ჩამოვარდა, აქვე იმასაც ვეტყვი, რომ ერთ-ერთმა მსაჯმა ზურაბ აბაშიძემ შესე-

ნების შემდეგ მოედანზე გასვლა ვერ შეძლო და მისი ადგილი სათადარიგო არბიტრმა დავით ბერეკაშვილმა დაიკავა. როგორც მატჩის კომისარმა თენგიზ ქიქოძემ განგვიმარტა, აბაშიძეს თავი შეუძლოდ უგრძობია და შესაცვლელი გამხდარა.

მოუხსნით თვითონ ზურაბ აბაშიძეს: „თამაშის დაწყებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, როდესაც თავი შეუძლოდ ვიგრძენი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე მოედანზე გასვლა. ვგრძობდი, რომ მაღალი წნევა მქონდა და ძლივს გავძეული ტაიმის ბოლომდე შესვენების შემდეგ კი იმდენად ცუდად ვიყავი, რომ შეცვლა მოვითხოვე“.

შესვენების შემდეგ სდასუ-მ დაახლოებით ხუთი წუთი შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. სტუ-მ მეექვსე წუთის დასაწყისში გაათანაბრა ტულუშის ზუსტად შესრულებული სამტულანის სროლის შემდეგ ტაიმის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე კი წინ გასვლაც მოახერხა — 49:48, ისევ და ისევ მინაშვილის კარგი თამაშის შედეგად ამის შემდეგ სდასუ-ს თავ-გამოდებული მცდელობის მიუხედავად, სტუ-ს უპირატესობა აღარ დაუთმოა და მესამე და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა.



სტუელი დავით თორთლაძე გიგი ნაცვლიშვილს გაურბის



ბასკოელი ლეგან ქარაბაგი ლეგან წიკლაურს უფარებს

ბ. ბალოშვილი



გაგაგვიღი

გაგაგვიღი არ შეიძლება; მაგალითად, იმისა, რომ საათი დროს უჩვენებს, თრჯერ ორი ოთხია, ხოლო ფოტოზე ლეგენდარული ეუსებიო და ლუმი ფიგუ გამოხატულან. სწავლასწავა თაობისა და ერთი საქმის შედეგები კმაყოფილნი ჩანან, ინგლისის ძლევა რომ რჩეულთა სვედრია, ხოლო ფიგუს იქნებ იმადაც გადახსნია სახე, „ლაციომ“ „ბარსელონას“ მასში 55 მილიონი მწვანე რომ შესთავაზა. ამდენ ფულად დღეს ბარე ორი ვერ ფასობს.




ბარბები, დანაბარბები

ბმრმანნი და ინგლისი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჯერ არ შებმულან, ხალხი კი უკვე დაეარგეს; იქით ადამისი და მაკმანამანით, აქეთ კიდევ ვარჯიშზე ოლივერ ბირპოფი დაშაგებულა, სავარაუდოდ მწარედაც, სახეზე აფარებული მისი ხელებით თუ ვიმსჯელებთ. ექიმ ადოლოფ კატცენმაიერს მოგუწოდებთ, ფეხბურთელის ფეხზე დასაყენებლად ყველაფერი იღონოს, რათა კვირის მატჩი ძალიან არ ვახუნდეს.

დიდი ედი სტუმარმასპინძლობა



ამ, ისიც: „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის მომეგები და უსახელოვანესი ველომობოლი — ედი მერქსი ევრო 2000-ის მასპინძელთაგანია და თავისი კარგი ბელგეელობის ჩვენებას რუმინეთის ნაკრების წევრებთან ლამობს.



ეს გელგეელები სმა...

ნადირთა მეფესა ზედა ჯდომა სახუმარო საქმე არ ვახლავთ და უღვაშა იტალიელსაც ძაან ვაუბედავს, ბრიუსელის ერთ-ერთ სიამაყეზე რომ წამოსკუბულა; ცხადია, არა იმიტომ, რომ ლომი ვადაყლაბავს. იგი ქვისაა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რა იქნება, ვიღაც ვადათიელი თბილისში ჩამოვიდეს, 2:0 დაგვაპარცხოს, გორვასლის ცხენს შემთაჯდეს და თავისი ქვეყნის ალაში აფრიალოს. არა, ეტყობა, სხვა ხალხია ეს ბელგეელები...



გუთსუზას ანგენინას

„მეფე გოლუენის“ ტრიბუნაზე მოკალათებული ეს ბუთსუზა კაცი ბელგეელი ფანია, თათქარიძისებრი ღაბაბითა და თვალეებზე მორგებული ჭოგრიტით. ცხადია, საითაც იყურება: მოედანზე იტალია და ბელგია ებრძვიან ერთმანეთს. ვითომ ბელგეელი სასურველ სურათს ხედავს? მეტი არაა ჩვენი მტერი...



გოლინას ანგეეტილი

რომ აზრი ჩააქსოვა ბიერლუიჯი კოლინამ ვერტეკალურად შემართულ თავის ცერში? იქნებ მშობლიური ნაკრები გაამხსნევა ბელგიასთან დატაკებაზე მცირე ხნით ადრე? ან იქნებ სულაც პაპარაცებმა სთხოვეს ასე მოქცევა? ზუსტი პასუხი მხოლოდ კოლინამ იცის, გაგების მსურველებს ვურჩევდით მისთვის მიემართათ.

სარბიელი
საორტული გაზეტი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოძროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიალი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი მახტან ბაჩიაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხალაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინასარიძე,
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ზურაბ მეშველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიორგი ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მათა აბოშიანიძე, ნათელა გიორგობანი, ლალი გონალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე; მადრა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე; ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზბუგის გამზირი 42, II
პორაუნი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarblieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarblieli.com.ge>